

საბანკო მომსახურების შესახებ ხელშეკრულების დანართი N6 - SMS ბანკი

1. **SMS ბანკის** საშუალებით **კლიენტს** უფლება აქვს **განაცხადში** დაფიქსირებულ **ფინანსურ ნომერზე** მიიღოს **განაცხადით** მოთხოვნილი ინფორმაცია მოკლე ტექსტური შეტყობინების სახით ან/და აწარმოოს **გადახდა**.
2. **SMS ბანკი** არის ორი სახის:
 - 2.1. ძირითადი **SMS ბანკი**, რომლის საშუალებითაც **ბანკი** აწარმოებს შეტყობინებების გაგზავნას და **კლიენტს** საშუალება აქვს **ბანკს** მისცეს **დავალება**;
 - 2.2. დამატებითი **SMS ბანკი**, რომლის საშუალებითაც წარმოებს მხოლოდ შეტყობინებების გაგზავნა **კლიენტისათვის** ქვემოთ მოცემულ ინფორმაციაზე.
3. **SMS ბანკით** სარგებლობის შესაძლებლობა აქვთ **კლიენტებს**, რომლებიც ფლობენ მობილურ ტელეფონს, რომელიც აღჭურვილია ხმოვანი და მონაცემთა გაცვლის ფუნქციით.
4. **SMS ბანკის** ფარგლებში **კლიენტს** შეუძლია მიიღოს შემდეგი ინფორმაცია:
 - 4.1. მის სარგებლობაში არსებული ან/და მომავალში შეძენილი **საბანკო პროდუქტების/საბანკო მომსახურების** შესახებ.
 - 4.2. ინფორმაცია, **ანგარიშზე** არსებული ფულადი სახსრების შესახებ.
 - 4.3. ინფორმაცია, **კლიენტის** საკრედიტო ვალდებულებ(ებ)ის შესახებ.
 - 4.4. ინფორმაცია ვადიანი დეპოზიტის ვადის გასვლის შესახებ.
 - 4.5. ინფორმაცია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი სხვადასხვა ვალუტის გაცვლითი კურსების შესახებ.
 - 4.6. ინფორმაცია თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე დაფიქსირებული სხვადასხვა ვალუტის გაცვლითი კურსების შესახებ.
 - 4.7. ინფორმაცია სადებეტო ოპერაციის განხორციელების შესახებ.
 - 4.8. ინფორმაცია დაგროვილი ბონუს ქულების შესახებ.
 - 4.9. **მხარეთა** შორის შეთანხმებული ან/და **ბანკის** მიერ განსაზღვრული სხვა ინფორმაცია.
5. **ძირითადი SMS ბანკის** საშუალებით **კლიენტი** უფლებამოსილია:
 - 5.1. განახორციელოს **ელვა** გზავნილის გაგზავნა;
 - 5.2. გამორთოს/გაააქტიუროს **SMS ბანკი**;
 - 5.3. შეავსოს მობილური ტელეფონის ბალანსი;
 - 5.4. შეცვალოს **SMS ბანკისთვის** გაწერილი **ფინანსური ნომერი**;
 - 5.5. დაბლოკოს **ბარათი**;
 - 5.6. განბლოკოს დაბლოკილი **ბარათი**;
 - 5.7. შეცვალოს **SMS ბანკისთვის** განსაზღვრული ენა
6. **SMS ბანკით გადახდის** წარმოებისას **ბანკი** უფლებამოსილია ჩამოჭრას შესაბამისი ოდენობის თანხა **კლიენტის** იმ **ანგარიშიდან**, რომელიც მითითებულია **SMS-ბანკის განაცხადში**.
7. **SMS ბანკით, კლიენტის** მიერ მიცემული **დავალება** შესაძლებელია ვერ შესრულდეს აღნიშნული **დავალების** გაცემისთანავე და სხვადასხვა მიზეზით შესაძლებელია აღნიშნული **დავალების** შესრულებას დასჭირდეს **ბანკისთვის** მისი წარდგენიდან 2 (ორი) **საბანკო დღე**. **ბანკი** არ იძლევა იმის გარანტიას, რომ **კლიენტისგან დავალებას** ყოველთვის მიიღებს. ამასთან, **ბანკი** არ არის პასუხისმგებელი რაიმე სახის ზარალზე, ზიანზე, პირდაპირ ან არაპირდაპირ ხარჯებზე, რომელიც შესაძლებელია **კლიენტმა** მიიღო ამგვარი დაგვიანების შედეგად.

საბანკო მომსახურების შესახებ ხელშეკრულების დანართი N6 – SMS ბანკი

8. **კლიენტი** აცხადებს და იძლევა გარანტიას, რომ:
 - 8.1. **ბანკისთვის** მიწოდებული **ფინანსური ნომერი** მის მფლობელობაშია. იმ შემთხვევაში თუ **კლიენტი** დაუყოვნებლივ არ შეატყობინებს **ბანკს** ამ ფაქტთან დაკავშირებული ნებისმიერი ცვლილების თაობაზე, აღნიშნული **ფინანსური ნომრიდან** გაგზავნილი/მიღებული **დავალება** ჩაითვლება **კლიენტის** მიერ გაგზავნილად/მიღებულად და გამოირიცხება **ბანკის** რაიმე სახის პასუხისმგებლობა.
 - 8.2. დაუყოვნებლივ შეატყობინებს **ბანკს** **ფინანსური ნომრის** ცვლილების, ტელეფონის დაკარგვის, **კლიენტის** მიერ ტელეფონზე ან/და **ფინანსურ ნომერზე** მფლობელობის გაუქმების/დაკარგვის ან/და სხვა ისეთი ცვლილების შესახებ, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს **ბანკის** მიერ **SMS-ბანკით მომსახურების** მიწოდებაზე.
 - 8.3. იგი პასუხისმგებელია ყველა **დავალებაზე**, რომელიც გაგზავნილი იქნება **ფინანსური ნომრიდან**.
9. იმ შემთხვევაში თუ **SMS ბანკის განაცხადში** დაფიქსირებულ **ანგარიშზე** არ არის საკმარისი თანხა **ბანკი** უფლებამოსილია არ შეასრულოს **დავალება**.
10. **ბანკი** არ აგებს პასუხს მობილურ სატელეფონო მომსახურებაზე და მის ხარისხზე.
11. **SMS ბანკის მომსახურების** გაწევისას **ბანკი** დაეყრდნობა **ფინანსური ნომრიდან** მიღებულ **დავალებას** და **ბანკი** არ არის ვალდებული შეამოწმოს გამომგზავნი პიროვნება ან მოკლე ტექსტური შეტყობინების ნამდვილობა.
12. **კლიენტი** პასუხისმგებელია **ფინანსური ნომრის** არავტორიზირებულ გამოყენებაზე **მესამე პირების** მხრიდან.
13. **ბანკი** უფლებამოსილია, საკუთარი შეხედულებისამებრ, მიიღოს ნებისმიერი სახის **ოპერაციის** ან **დავალების** გაუქმების მოთხოვნა **კლიენტისგან** იმის გათვალისწინებით, რომ **ბანკს** ჯერ არ დაუწყია აღნიშნული **ოპერაციის** ან **დავალების** განხორციელება. **ბანკი** არ არის პასუხისმგებელი დაგვიანებულ გადასახადზე ან ხარჯზე (პირდაპირი თუ არაპირდაპირი), რომელიც შეიძლება გამოწვეულ იქნას ამგვარი გაუქმებით.
14. **კლიენტს** უფლება აქვს, ნებისმიერ დროს, გააუქმოს **SMS ბანკით მომსახურება**, **ბანკისათვის** შესაბამისი **განაცხადით** მიმართვის საფუძველზე და **ბანკის** მიერ დადგენილი წესებით/პროცედურებით განსაზღვრული ქმედებების განხორციელების შემდეგ.
15. **ბანკი** უფლებამოსილია, **კლიენტის** წინასწარი **შეტყობინების** გარეშე ავტომატურად შეწყვიტოს **SMS-ბანკით მომსახურება**, თუ აღიილი აქვს ქვემოთ მოცემული შემთხვევებიდან ერთ-ერთს:
 - 15.1. **კლიენტს** აღარ აქვს **ბანკში** გახსნილი არცერთი ტიპის **ანგარიში**;
 - 15.2. უკანასკნელი 6 (ექვსი) თვის განმავლობაში არ არის გადახდილი/დაფარული **SMS ბანკი საკომისიო**.